პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ПРОЛЕТАРИИ ВСЕХ СТРАН, СОЕДИНЯЙТЕСЬ!

# მებრძოლი გუშაგი

# Боевой страж

გაზეთი გამოდის 1926 წლიდან
ГАЗЕТА ВЫХОДИТ С 1926 ГОДА

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანო
ОРГАН МИНИСТЕРСТВА ВНУТРЕННИХ ДЕЛ ГССР

შაბათი, 14 აპრილი, 1990 წელი ● № 16 (2893) ● СУББОТА, 14 АПРЕЛЯ 1990 г.



## 9 აპრილის მსხვერპლთა ხსოვნის უკვდავსაყოფად

ხელვაჩაურის შინაგან საქმეთა რაიგანყოფილების უბნის უფროსი ინსპექტორის მილიციის კაპიტნის თ. კაკაბაძის ინიციატივით ხელვაჩაურის ცენტრში დაიდგა და 9 აპრილის გლოვის დღეს, საზოგადოების თანდასწრებით გაიხსნა მის მიერ დამზადებული 9 აპრილის ტრაგედიის მსხვერპლთა უკვდავსაყოფი გრანიტის მემორიალი. ქვაზე ოქროსფერი ასოებით ამოკვეთილია: „1989 წლის 9 აპრილს თბილისში დაღუპულთა სახსოვრად", ალბეჭდილია ყველა იმათი გვარი და სახელი, რომლებიც დაიღუპნენ იმ დღეს, აქვე, მახლობლად ამ დღეებში გაიხსნება თ. კაკაბაძის მიერ შესრულებული მეორე მემორიალი, რომელიც მიეძღვნება აჭარაში სტიქიის შედეგად დაღუპულების ხსოვნას. ამ დიდ პატრიოტულ საქმეში თავისი წვლილი შეიტანა განყოფილების მთელმა პირადმა შემადგენლობამ.

ბ. მგალობლიშვილი.

* * *

**სურათზე:** მემორიალის ავტორი თ. კაკაბაძე, განყოფილების უფროსის მოადგილე პოლიტდარგში მილიციის უფროსი ლეიტენანტი თ. დუმბაძე და განყოფილების უფროსი სახავტოინსპექტორი, მილიციის უფროსი ლეიტენანტი თ. ჯაფარიძე მემორიალის გახსნის დროს.

ავტორის ფოტო.

## НА ОПЕРАТИВНОМ СОВЕЩАНИИ РУКОВОДЯЩЕГО СОСТАВА МВД ГССР

**4 АПРЕЛЯ** состоялось оперативное совещание руководящего состава МВД ГССР, которое провел министр внутренних дел республики генерал - лейтенант внутренней службы Ш. Горгодзе.

С информацией о состоянии оперативной обстановки в республике за первый квартал нынешнего года выступил начальник оргинспекторского отдела министерства полковник милиции К. Буджиашвили.

Руководству УУР (начальник — полковник милиции Г. Щаламберидзе), УПС (полковник милиции Л. Горгодзе) и УООП (полковник внутренней службы Г. Бичашвили) предложено принять меры профилактического характера, направленные на предотвращение умышленных убийств и покушений на них.

Руководству УУР и УО (полковник милиции Г. Кварелашвили) предложено принять соответствующие меры по борьбе с имущественными преступлениями, уделив особое внимание их раскрываемости.

На совещании заслушана информация начальника УПС МВД ГССР полковника милиции Л. Горгодзе «Об итогах оперативно - профилактических мероприятий, проведенных в г. Зугдиди, Зугдидском районе и в г. Кутаиси». Руководству УПС совместно с представителями других служб министерства поручено продумать вопросы, связанные с совершенствованием стиля и методов работы с несовершеннолетними.

## В ОБСТАНОВКЕ АКТИВНОСТИ

**Полным ходом идет сейчас в партийных организациях подразделений органов внутренних дел подготовка к XXXIII съезду КПСС и XXVIII съезду Компартии Грузии. В преддверии этих форумов коммунисты анализируют проделанную работу, вырабатывают принципиальные положения своей дальнейшей деятельности.**

**В ОБСТАНОВКЕ** деловитости, живого, заинтересованного обмена мнениями прошло состоявшееся на днях собрание парторганизации Глданского РОВД столицы республики, на котором с докладом о задачах коммунистов отдела в свете решений недавних пленумов ЦК КП Грузии выступил секретарь первичной парторганизации отдела старший оперуполномоченный ОУР капитан милиции Л. Абрамян.

Острой полемической направленностью отличились выступления принявших участие в прениях коммунистов — заместителя начальника отдела подполковника милиции Г. Табатадзе, начальника 1-го отделения подполковника милиции Г. Топуридзе, начальника ОУР подполковника милиции Ш. Асатиани, начальника отделения участковых инспекторов майора милиции Н. Мариамидзе, начальника РОВД полковника милиции К. Каландадзе, которые глубоко и всесторонне анализировали наиболее актуальные вопросы партийной жизни, отмечали, что предстоящие партийные форумы должны дать ответы на многие волнующие коммунистов вопросы.

Выступавшие с тревогой констатировали, что в условиях плюрализма мнений, осложнения обстановки в стране и республике некоторые коммунисты растерялись, раздаются даже голоса о выходе из партии, что в основном свойственно тем, кто вступил в КПСС из карьеристских соображений, а сейчас готов следовать новой политической конъюнктуре. Однако, как особо отмечали все выступавшие, подобный шаг сейчас большого мужества не требует. Гораздо целесообразнее искать конструктивный выход из создавшейся ситуации, который выступавшие видят в достижении самостоятельности компартии Грузии, что, по их мнению, станет и важным шагом на пути укрепления суверенитета республики.

Немало критических замечаний было высказано коммунистами и в отношении принятых недавно Верховным Советом СССР законов о порядке выхода республик из состава СССР и порядке введения режима чрезвычайного положения.

В складывающейся непростой обстановке сотрудники милиции, подчеркнул в своем выступлении К. Каландадзе, должны прежде всего руководствоваться законом, очень взвешенно подходить к решению всех вопросов, противодействовать необдуманным и поспешным антиконституционным действиям, которые могут поставить под угрозу весь процесс развития демократии.

В заключение собрания состоялись выборы делегатов на партконференцию Глданского РК КП Грузии. В результате открытого голосования из альтернативных кандидатур делегатами избраны начальник РОВД полковник милиции К. Каландадзе и его заместитель по политчасти капитан милиции Н. Горганели.

А. ЛОМИДЗЕ.

**მრავალი მაგიდის გარშემო ანუ გაფართოებული კოლეგიის სხდომის შემდეგ**



# გზა— გავლილი, გზა— გასავლელი



31 მარტის „მებრძოლი გუშაგის" მეთოთხმეტე ნომერში, ამ რუბრიკით გამოქვეყნებულ ამავე სახელწოდების მასალაში მკითხველს შევთავაზეთ ორი ინტერვიუ. დღეს ვაგრძელებთ საუბარს იგივე საკითხებზე და გთავაზობთ ინტერვიუს საქართველოს შს სამინისტროს სატრანსპორტო მილიციის და სახელმწიფო ავტოინსპექციის სამმართველოების უფროსებთან — პოლკოვნიკ თ. ეპიტაშვილთან და მილიციის პოლკოვნიკ გ. ცინცაძესთან.

ამასთან ერთად ჩვენი გაზეთის მკითხველებს ვთხოვთ მოგვაწოდონ თავიანთი მოსაზრებები ამ (წინა და შემდგომ გამოქვეყნებულ) ინტერვიუში დასმულ საკითხებზე.

— გვაინტერესებს თქვენი შეფასება — თუ რისი განხორციელება შეძლო და რისი ვერა, თქვენდამი რწმუნებულმა სამსახურმა გასულ 1989 წელს?

**თ. ე.** გასული წლის შედეგებზე საუბრისას, კმაყოფილებით გვინდა აღვნიშნოთ, რომ რესპუბლიკის შიდაპოლიტიკურ მდგომარეობასთან დაკავშირებულ რთულ ვითარებაში, რამაც მნიშვნელოვან წილად გამოიწვია ჩვენი ძალებისა და საშუალებათა მოცდენა, სატრანსპორტო მილიციის ორგანოები ზუსტად, შეწყობილად მუშაობდნენ. ამისათვის ჩვენი თანამშრომლები 824-ჯერ იყვნენ დაჯილდოებულნი საკავშირო და საქართველოს შს სამინისტროების და სატრანსპორტო მილიციის სამმართველოს ხელმძღვანელობის ბრძანებით.

შესამჩნევად (12,5 პროცენტით) შემცირდა მოქალაქეთა პირადი ქონების ქურდობის ფაქტები. თითქმის ორჯერ იკლო სახელმწიფო ქონების ქურდობის, სისხლის სამართლებრივად დასჯადი ხულიგნობის რიცხვმა. არსებითად გაუმჯობესდა მოქალაქეთა სიცოცხლისა და ჯანმრთელობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა პროფილაქტიკური მუშაობის ორგანიზაცია.

გასულ წელს, როგორც ყოველთვის სამმართველოსა და სახაზო განყოფილებების ყურადღების ცენტრში იყო ნარკომანიასთან ბრძოლის პრობლემები. გამოვლინებულია რესპუბლიკაში ნარკოტიკულ ნივთიერებათა ტრანსპორტირების 56 ფაქტი. ცალკეულ შემთხვევაში შესაძლებელი გახდა ნარკოტიკულ ნივთიერებათა შესყიდვის წყაროებზე გასვლა. ამ მიმართულებით განსაკუთრებულად აქტიურად მუშაობდნენ ქუთაისისა და სამტრედიის სახაზო განყოფილებები.

პოზიტიურ მხარედ შეიძლება ჩავთვალოთ ისიც, რომ გასულ წელს ადგილი არ ჰქონია ჩვენი თანამშრომლების მიერ სოციალისტური კანონიერების დარღვევის არც ერთ ფაქტს.

მიუხედავად ამგვარი დადებითი ძვრებისა, ჩვენს უკმაყოფილებას იწვევს ის გარემოება, რომ რიგ სახაზო განყოფილებების ტერიტორიებზე იმატა დანაშაულებრივმა ფაქტებმა და ერთიანობაში გაუარესა დანაშაულის საერთო მაჩვენებლები — განსაკუთრებულად რთული ვითარება შეიქმნა სადგურ თბილისი — საკვანძოს სამომსახურეო ტერიტორიაზე. გართულებულ ოპერატიულ ვითარებაში სახელმწიფო ქონების ქურდობის ზრდამ 60 პროცენტს მიაღწია, ხოლო სადგურ სოხუმის სამომსახურეო ტერიტორიაზე 70 პროცენტს. ერთდროულად გაუარესდა დანაშაულთა გახსნის მაჩვენებლებიც.

**— გ. ც.** ყველა ჩანაფიქრი რომ განხორციელებულიყო, სახელმწიფო ავტოინსპექციის ყველა რეგიონალური დანაყოფი ერთნაირი პასუხისმგებლობით რომ მოჰკიდებოდა დაკისრებული მოვალეობის შესრულებას, ცხადია, მაჩვენებლებიც შედარებით უკეთესი იქნებოდა. თუმცა გასულ წელს საგზაო ზედამხედველობის ხაზით სახავტოინსპექციის მუშაობის შესუსტებას თავისი ობიექტური განმსაზღვრელი მიზეზებიც გააჩნია.

(დასასრული მე-2 გვ-ზე)

# გზა — გავლილი, გზა — გასავლელი

(დასასრული)

არ შემიძლია აქ არ აღვნიშნო ის გარემოებაც, რომ მიმდინარე წელს ძალზე გართულდა ვითარება თბილისში, აფხაზეთში, სამხრეთ ოსეთში, ქუთაისში.

უნდა ითქვას ისიც, რომ ქ. გორში, ოზურგეთში, ხარაგაულსა და ხობში იმატა ავარიულობის ყველა ძირითადმა მაჩვენებლებმა და ეს მაშინ, როცა რესპუბლიკის ძირითად საკომუნიკაციო არტერიებზე — ტრასებზე სტაბილურობა შევინარჩუნეთ.

**— კოლეგიის სხდომაზე როგორ შეფასდა თქვენი სამსახურის მუშაობა და რა საკითხებზე იქნება თქვენი ყურადღება გამახვილებული სამომავლოდ?**

— სამმართველოში ოპერატიულ თათბირზე გაანალიზებული იქნა საქმიანობის წლიური მაჩვენებლები და დასახული იქნა კონკრეტული ღონისძიებანი რთულ ოპერატიულ ვითარებაში მომუშავე ორგანოთა საქმიანობის გაუმჯობესებისათვის. კოლეგიაზე გამოთქმულ შენიშვნებს შესაბამისი კრიტიკული დასკვნები მოჰყვა: მიღებული ღონისძიებანი ადგილებზე მმართველობითი საქმიანობის ორიენტაციის შეცვლისაკენ იქნა წარმართული.

— კოლეგიის სხდომაზე სავსებით სამართლიანად აღინიშნა, რომ უჩვეულოდ გართულდა ოპერატიული ვითარება და ამისათვის ვინმეთავზე ხელს როდი გადაგვისვამდა, თუმცა ისიც ითქვა, რომ საქართველოში მიმდინარე უაღრესად რთული საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოვლენები, რომელთა პერიპეტიებშიც სისტემატურად იყო ჩაბმული სახელმწიფო ავტოინსპექციის სამსახური, ჩვენს მუშაობაში სერიოზულ ხელისშემშლელ პირობად იქცა.

სამომავლოდ, რასაკვირველია, ყოველ ღონეს ვიხმართ, რომ სრულად გამოვავლინოთ სახელმწიფო ავტოინსპექციის პოტენციური შესაძლებლობანი. ამისათვის არაერთი ქმედითი ღონისძიება უნდა განვახორციელოთ. მაგალითად, ვაპირებთ სრულ სამეურნეო ანგარიშზე და თვითდაფინანსებაზე გადასვლას, რიგითი შემადგენლობის ფუნქციების საოფიცრო შემადგენლობაზე დაკისრებას, რაც უეჭველად აამაღლებს სახელმწიფო ავტოინსპექციის ავტორიტეტს და გაცილებით ეფექტურს გახდის მის მუშაობას. საქართველოს უზენაეს საბჭოში წარსადგენად შევიმუშავეთ პროექტი საგზაო მოძრაობის წესების დარღვევისათვის პასუხისმგებლობის შესახებ. უნდა გაძლიერდეს აუცილებლად სააგიტაციო-პროპაგანდისტული მოღვაწეობაც. კვლავ და კვლავ გავამახვილებთ ყურადღებას სახავტოინსპექციის კადრების ხარისხობრივი შემადგენლობის გაუმჯობესების საკითხებზე.

**— გარდა რესპუბლიკაში მიმდინარე ყველასათვის ცნობილი საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოვლენებისა და ეთნოკრიზისისა, რას თვლით ხელის შემშლელად დასახული მიზნებისაკენ მიმავალ გზაზე, სუბიექტური და ობიექტური მიზეზები?**

— ხელისშემშლელი პირობები მრავლად არის სატრანსპორტო მილიციის მუშაობაში, მაგრამ ერთ-ერთ ძირეულ პრობლემად შეიძლება ჩაითვალოს სახელმწიფო ტვირთების გადაზიდვისას მათი დატაცების ფაქტები, ყველაფერ ამას ჩვენი არასაკმარისი და მოუქნელი მუშაობის გარდა, განაპირობებს ამიერკავკასიის რკინიგზის ტრანსპორტის ხელმძღვანელობის არასწორი მუშაობა, პატარა სადგურებში მატარებლების უმეთვალყურეოდ „დაგდების" ფაქტები, რაც მნიშვნელოვან წილად განაპირობებს სახელმწიფო ქონების დატაცების ფაქტებს.

იმასთან დაკავშირებით, რომ ჯერ კიდევ რკინიგზისა და საზღვაო ტრანსპორტზე ტვირთების გადაზიდვის საქმეს ემსახურება წარსულში სამეურნეო დანაშაულებისათვის სასჯელმოხდილი და ნდობადაკარგული პირები, აუცილებელია რკინიგზისა და საზღვაო ტრანსპორტის ხელმძღვანელობამ გაატაროს ქმედითი ღონისძიებანი ადგილებზე და დაუყოვნებლივ გადაწყვიტოს მათი შემდგომში აღნიშნულ სფეროში მუშაობისას მომხარი ფაქტები.

მიუხედავად საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილებისა და სატრანსპორტო მილიციის ხელმძღვანელობის მიერ საკითხის არაერთხელ დაყენებისა, როგორც ამიერკავკასიის რკინიგზის ტრანსპორტის, ასევე პარტიული და საბჭოთა ორგანოების წინაშე, ამიერკავკასიის რკინიგზის დაცვის ხელმძღვანელობა 40%-ითაც კი ვერ უზრუნველყოფს ნომენკლატურული ტვირთების დაცვის ქვეშ აყვანას და დანიშნულების სადგურებამდე გაცილებას, უფრო მეტიც, ადგილი აქვს დაცვის მუშაკთა მიერ მათი მეთვალყურეობის ქვეშ მყოფი სატვირთო მატარებლებიდან სახელმწიფო ქონების ქურდობას.

მუშაობაში ხელისშემშლელი პირობები ცოტა როდია: ჯერ ერთი ის, რომ არ გაგვაჩნია სათანადო თანამედროვე მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, ტრანსპორტი. არ გვივარგა გზები, ვერ ვგრძნობთ გზასა და ტრანსპორტთან დაკავშირებული ორგანიზაციების მხარდაჭერას. ჯეროვანი კონტაქტები ვერ დავამყარეთ ავტომოტომოყვარულთა ნებაყოფლობით საზოგადოებასთან. აქ ისიც უნდა აღინიშნოს აუცილებლად, რომ სახელმწიფო ავტოინსპექციის ძალები ადგილებზე მილიციის ყველა სამსახურის ხაზით გამოიყენება, შესაბამისად საკმაო გამოვლინებებიც გაგვაჩნია, მაგრამ სახელმწიფო ავტოინსპექციას კი ისინი ფაქტობრივად არ ეხმარებიან, ეტყობა საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნველყოფას ბევრი მეორეხარისხოვან საქმედ თვლის. უფრო მეტიც, იმის მაგივრად, რომ მხარში ამოგვიდგნენ საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევათა აღკვეთა-აცილებისათვის გამიზნულ ბრძოლაში, ორგანოს ბევრი მუშაკი თავად არღვევს მოძრაობის წესებს და რაც ყველაზე აღმაშფოთებელია, ეს კანონიერ პრივილეგიად მიაჩნიათ.

**— რა კუთხით წარმართავს თქვენი სამსახური მუშაობას მიმდინარე წელს, ანუ ძირითადი მიმართულებები?**

— მიმდინარე წელს, გამომდინარე სსრკ უმაღლესი საბჭოს დადგენილებიდან „დანაშაულობასთან ბრძოლის გააქტიურების შესახებ" დავგეგმეთ და პრაქტიკულად განვახორციელეთ მთელი რიგი ღონისძიებებისა: ხელმძღვანელ მუშაკთა გასვლა ადგილებზე; გამოძალვითი, ძალადობითი, რეციდიული და ორგანიზებული დანაშაულის აღკვეთასთან დაკავშირებული საკითხები; განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო პროფილაქტიკურ და სპეციალურ ოპერაციებს სისხლის სამართლებრივ და მაწანწალა ელემენტთა თავმოყრის ადგილებში. ორგანიზებული შეხვედრები შრომით კოლექტივებთან, მოსახლეობასთან აუცილებელი კონტაქტების დამყარების მიზნით, უფრო ფართოდ ვიყენებთ ადგილობრივი, რესპუბლიკური პრესის ფურცლებს, რადიო მაუწყებლობისა და ტელევიზიის შესაძლებლობებს. ტელევიზიის მიერ მოეწყო გადაცემა მიძღვნილი სატრანსპორტო მილიციის საქმიანობისადმი. რადიოთი გამოსვლები მოეწყო სამმართველოს ხელმძღვანელი მუშაკების მიერ.

— როგორც აღვნიშნე, ჩვენი მუშაობის ქვაკუთხედად კვლავ იქნება სახელმწიფო ავტოინსპექციის პირადი შემადგენლობის ხარისხობრივი გაუმჯობესება, მოღვაწეობის ახალი ფორმებისა და მეთოდების დანერგვა, სამსახურის ავტორიტეტის ამაღლება, სამინისტროებთან, უწყებებთან, წარმოება-დაწესებულებებთან და სხვა ორგანიზაციებთან ურთიერთთანამშრომლობის გაღრმავება, შეურიგებელი ბრძოლა ჩვენს მუშაობაში არსებულ ყოველგვარ ნეგატიურთან.

**— როგორ ფიქრობთ ამაღლოთ თითოეული თანამშრომლის პროფესიონალური დონე და პასუხისმგებლობა მინდობილი საქმის კეთილსინდისიერად შესრულების საქმეში, რას თვლით ამისათვის საჭიროდ?**

— თითოეული თანამშრომლისა და საერთო ჯამში მთელი ჩვენი სამსახურის პროფესიონალური დონის ამაღლებისათვის უპირველეს ამოცანად მიმაჩნია მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნა, მეცნიერებისა და ტექნიკის ფართო გამოყენება პრაქტიკულ საქმიანობაში, თეორიული საფუძვლების გაღრმავება.

პროფესიონალური დონის ამაღლების საქმეში, გარკვეულ როლს თამაშობს ცენტრალური აპარატის ზედამხედველური ფუნქციების შეცვლა. ახლა ცენტრალური აპარატის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს ღრმა ანალიზი ამა თუ იმ სახაზო განყოფილებაში შექმნილი ოპერატიული ვითარებისა და ამ ანალიზის საფუძველზე კონკრეტული რეკომენდაციების გაცემა, პრაქტიკული დახმარების აღმოჩენა ცენტრალური აპარატის გამოცდილი თანამშრომლების უშუალოდ ადგილზე გასვლით და გამოცდილების გაზიარებით.

მე მიმაჩნია, რომ მჭიდრო საქმიანი კავშირი ცენტრალურ აპარატსა და სახაზო განყოფილებებს შორის, მეცნიერული მიდგომა პრობლემებთან ეს არის რეალური გზა თანამშრომელთა საერთო პროფესიონალური დონის ამაღლებისა და დანაშაულობათა წინააღმდეგ ერთობლივი ბრძოლის ეფექტური საშუალება.

რაც შეეხება თანამშრომელთა პასუხისმგებლობისა და მინდობილი საქმის კეთილსინდისიერად შესრულებას — ჩვენ ყველაფერი უნდა გავაკეთოთ იმისათვის, რომ ორგანოს ყველა თანამშრომელმა იგრძნოს ის უაღრესად დიდი პასუხისმგებლობა სამშობლოსა და ერის წინაშე, რომელიც მას ამ ძნელბედობის ჟამს აკისრია. მას ღრმად უნდა სწამდეს, რომ მისი საქმიანობა არის მომავალი დამოუკიდებელი საქართველოს საზოგადოების განწმენდა ყოველგვარი უღირსისაგან.

— ვფიქრობ, ამ საკითხს, სხვა ადმინისტრაციულ ღონისძიებებთან ერთად, ყველაზე უკეთესად გადაწყვეტს სწორად ჩვენი სამსახურის სრულ სამეურნეო ანგარიშზე და თვითდაფინანსებაზე გადასვლა. ასეთ პირობებში ჩვენს რიგებში კანონიერების სულ მცირე დარღვევის დროსაც შემჩნეული პირიც კი უმალ დატოვებს ავტოინსპექციის სამსახურს და დაისჯება კანონის მთელი სიმკაცრით. იგი სტოვებს სამსახურს და ამით ეკარგება სამეურნეო ანგარიშზე და თვითდაფინანსებაზე გადასვლით მინიჭებული პრივილეგიები — ბინის, ავტომობილისა თუ სხვა სიკეთის მიღების რეალური შესაძლებლობა, ცხადია საკმაოდ გადიდებული ხელფასიც. ამავე დროს თავად კოლექტივი, სადაც ასეთი პიროვნება მუშაობს, ვეღარ მოითმენს მის გვერდით ავტორიტეტშელახული ადამიანის ყოფნას.

**— დასახული მიზნების მისაღწევად როგორ გესახებათ ურთიერთობა ჩვენს გაზეთთან და თვლით თუ არა მას აუცილებლად. რას მისცემს თქვენს სამსახურს ეს ურთიერთობა?**

— გაზეთ „მებრძოლ გუშაგთან" ძველი და კეთილი ურთიერთობები გვაქვს. გაზეთი ობიექტურად აშუქებს სატრანსპორტო ორგანოების საქმიანობას, დანაშაულის გახსნის კონკრეტულ ფაქტებს და ჩვენი სამმართველოს მოწინავე თანამშრომელთა საქმიანობას. მინდა ვისარგებლო შემთხვევით და აღვნიშნო, რომ უკანასკნელ ხანებში „მებრძოლი გუშაგის" რედაქცია უფრო მეტ სასარგებლო ინიციატივას ავლენს, უფრო არსებითად აშუქებს პრობლემატურ საკითხებს.

— თქმა არ უნდა, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს და კერძოდ გაზეთს ძალზე დიდი დახმარების გაწევა შეუძლია ნებისმიერი იდეის პრაქტიკული განხორციელების საქმეში. ცხადია, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს იმ გარემოებას, თუ როგორი გაზეთი იქნება ის, რა ბრძოლისუნარიანობა გააჩნია, შეუძლია თუ არა ღრმად ჩასწვდეს არსს, იკისროს ობიექტური გულშემატკივრის როლი და სხვა. თუ გაზეთი ასეთი იქნება, რასაკვირველია, მასთან ურთიერთობა ყოველთვის მომგებიანია საერთო საქმისათვის. ჩვენ გვაქვს ამის იმედი. ამასთან აუცილებელია ჩვენი გაზეთი ოპერატიულად მივიდეს რაიმილიციებში, მათმა ხელმძღვანელობამ სისტემატურად უნდა გააცნოს იქ ასახული ინფორმაცია თანამშრომლებს. ასეთ შემთხვევაში, სხვადასხვა დირექტივებისა და ბრძანებების მაგივრად, შეიძლება ოპერატიულად მივაწოდოთ მათ შესაბამისი ინფორმაცია სხვადასხვა ნორმატიულ აქტებში ცვლილებებთან დაკავშირებით, გავაცნოთ რომელიმე რაიონის დადებითი გამოცდილება. შევაქოთ ან გავაკრიტიკოთ თანამშრომელი, რეგიონი და ა. შ.

მასალა მოამზადა კ. ანდრიაძემ.

---

**Обеспечение образцового правопорядка в общественных местах — одно из важнейших направлений деятельности органов внутренних дел. Это не случайно — ведь по тому, насколько безопасно чувствуют себя граждане на улицах, в парках отдыха, стадионах и других общественных местах во многом можно судить о состоянии борьбы с преступностью. Именно эта мысль красной нитью проходила во время состоявшегося на днях рабочего совещания сотрудников подразделений охраны общественного порядка системы МВД ГССР, в работе которого приняли участие первый заместитель министра внутренних дел республики генерал-майор в/с В. Шадури и заместитель министра полковник в/с Ю. Ермолаев.**

# НАВЕСТИ ПОРЯДОК В ОБЩЕСТВЕННЫХ МЕСТАХ

**ОСНОВНОЙ** целью совещания, сказал при его открытии начальник УООП МВД ГССР полковник в/с Г. Бичашвили, является определение состояния на сегодняшний день работы по охране правопорядка в общественных местах, соблюдению паспортного режима и борьбе с пьянством и алкоголизмом, выработка комплекса мер по совершенствованию работы ОВД республики на данных направлениях.

Обратившийся к собравшимся с кратким вступительным словом генерал-майор в/с В. Шадури отметил, что в прошлом году в республике отмечался рост всех видов преступлений, в том числе и тяжких. Эта тенденция не преодолена пока и в нынешнем году, и хотя в последнее время наметилось определенное улучшение, положение по-прежнему остается сложным. Отчасти это объясняется резкой активизацией общественно - политических процессов, имевших помимо положительного и определенное дестабилизирующее влияние. Сказались и неготовность сотрудников к действиям в экстремальных ситуациях, их некоторая неуверенность из-за отсутствия должной правовой и моральной защищенности, и как следствие этого — снижение дисциплины. Однако эти тенденции могут и должны быть преодолены, подчеркнул т. В. Шадури, тем более сейчас, когда руководством республики принимаются действенные меры по укреплению технической базы ОВД, повышения материального поощрения и правовой защищенности сотрудников.

Детальный анализ работы подразделений охраны общественного порядка был дан в выступлении заместителя начальника УООП МВД ГССР полковника милиции Ш. Цинцкаладзе. Было отмечено, что рост преступности в общественных местах в 1989 году, по сравнению с предыдущим, составил 14,6 процента. Это связано прежде всего с возросшими нагрузками и отвлечением личного состава, в особенности сотрудников ППС, от своих прямых обязанностей для пресечения массовых беспорядков, имевших место в различных регионах республики.

Особенно тревожит рост числа убийств и покушений на них, отмечавшийся в Первомайском и им. 26 комиссаров районах Тбилиси, Сагареджо, Ткибули, Зугдиди, Ланчхути, увеличение телесных повреждений в Октябрьском, Кировском и Калининском районах столицы республики, Ахалкалакском, Ахалцихском, Гардабанском, Каспском и ряде других районов.

Помимо прочего, причиной этого является нерациональное применение имеющихся сил и средств. Основная нагрузка ложится на подразделения ППС, и в то же время недостаточно используются для взаимодействия с ними силы ГАИ, ДПС, отделов охраны, других служб. Во многих ГОРОВД из-за технических неисправностей нарядами не используются средства связи, что затрудняет их взаимодействие, управление ими со стороны дежурных частей. Так, в УВД Тбилиси не работают 30 переносных и 10 стационарных радиостанций, в Рустави — 5, в Батумском ГОВД — 11 и т. д. Это снижает эффективность работы нарядов ППС, создает трудности в раскрытии преступлений по «горячим следам». Ни в одном районе не осуществляется патрулирование с членами ДНД, эффективность которых в последнее время крайне низка.

Выступившие на совещании начальники отделов УООП подполковники милиции Д. Гаганидзе и И. Назлидис, начальник отдела ООП УВД Тбилгорисполкома полковник милиции М. Гудушаури, командир подразделения ППС УВД столицы республики полковник милиции С. Саришвили, заместители начальников Горийского и Руставского ГОВД по службе майор милиции Д. Дадианидзе и капитан милиции Г. Кобаладзе и другие отметили недостаточную эффективность использования паспортных служб в работе с лицами, ведущими паразитический образ жизни, ослабление контроля за исполнением антиалкогольного законодательства, другие имеющиеся недостатки. Среди требующих решения проблем назывались ставшие хроническими вопросы нехватки кадров, транспортных и радиосредств. Были даны и конкретные предложения по улучшению работы, в частности, полковник милиции М. Гудушаури предложил сформировать при каждом РОВД отделения ООП, выделить для работы в ночное время специальные подразделения и создать по 4—5 опорных пунктов в каждом районе.

Многие из упоминавшихся вопросов могут быть сняты созданием муниципальной (возможно и другое название) милиции, отметил в своем выступлении заместитель министра внутренних дел республики полковник в/с Ю. Ермолаев Подобное подразделение уже создано в Кутаиси, готовятся они в Тбилиси, Рустави, Чиатура и других городах. Дав конкретные указания по вопросам комплектования кадрами этих подразделений, т. Ю. Ермолаев отметил, что многое зависит сейчас от энергии и инициативности руководителей на местах.

Подводя итоги совещания, генерал-майор в/с В. Шадури отметил, что оно прошло в деловой и конструктивной обстановке, позволило четко представить имеющиеся в работе недостатки и трудности, наметить комплекс мер по их преодолению, выразил уверенность в том, что аппараты ООП примут все необходимые меры для скорейшего оздоровления обстановки на улицах и в общественных местах республики.

А. ЦАТУРОВ.

# „არდავიწყება მოყვრისა...“

## ნათელი კვალი დატოვა

**ძნელია** ილაპარაკო იმ ადამიანზე, რომელმაც თავისი მოკლე მაგრამ ლამაზი ცხოვრებით ნათელი კვალი დატოვა მეგობრების და ახლობლების მეხსიერებაში. ავთანდილ კირვალიძე სწორედ ისეთი პიროვნებაა, რომლის გახსენებაც ყოველთვის ცრემლს და გულისტკივილს იწვევს.

ა. კირვალიძე დაიბადა თელავის რაიონის სოფელ ვანთაში, სადაც ოქროს მედალზე დაამთავრა საშუალო სკოლა. წარჩინებით დაამთავრა პოლიტექნიკური ინსტიტუტის მანქანათმშენებლობის ფაკულტეტი. მისთვის ყველა საწარმოს კარი ღია იყო და შეეძლო აერჩია მშვიდი პროფესია, მაგრამ ყველასგან მოულოდნელად იგი არჩევანს ავტოინსპექტორობაზე აკეთებს. ამის წინააღმდეგი მისი მეუღლე, ქალბატონი იაც, იყო, მაგრამ...

1962 წელს მუშაობა დაიწყო გუდაუთაში ინსპექტორად. 1966 წელს გადმოდის თბილისში. ავტოინსპექტორის შრომატევად საქმიანობას ა. კირვალიძე მშვენივრად უთავსებდა ჭადრაკის თამაშს. ღვალსაჩინო წარმატებებსაც მიაღწია, როგორც რესპუბლიკურ, ისე საკავშირო ტურნირებში.

ქალბატონი ია იხსენებს, რომ მისი მეუღლე საოცრად კარგი მეოჯახე იყო. უყვარდა ოჯახთან ერთად მოგზაურობა. შეჯიბრებაზეც სულ ოჯახთან ერთად დადიოდა. მისი ნომერი პირველი გულშემატკივარი პატარა ნატო იყო. ნატო მამას სამორიგეოდაც თან დაჰყვებოდა და მამასთან ერთად „მუშაობდა“. მეგობრებს ძალიან უყვარდათ ავთო. ამის ნათელი მაგალითია ის, რომ ლერი დობორჯგინიძემ, ავთოს სიყრმის მეგობარმა შეფობა აიღო და მზრუნველობას არ აკლებს მის ოჯახს. ხოლო შინაგან საქმეთა სამინისტრო ყოველ წელს ფულად დახმარებას უწევს დაღუპული თანამშრომლის ოჯახს. იგრძნობა ის დიდი მორალური მხარდაჭერაც, რაც ესაჭიროება ავთოს შვილებს ნატოს და ერის.

ქალბატონი ია იხსენებს, რომ ერთხელ ტაქსის მძღოლმა, რომელმაც სახლთან მიიყვანა დანანებით მითხრაო: — აქ ერთი კარგი ვაჟკაცი ცხოვრობდა, ავთო ერქვა, ავტოინსპექტორი იყო 69-ში ყაჩაღებმა მოკლესო...

ბოლოს ავთო სახლიდან 15 ოქტომბერს გავიდა, — მეგობრის მაგივრად მივდივარ სამორიგეოდო. ზეგიდან შვებულებაში გავალ და ყველა ერთად ვიქნებითო, ჩვეული ღიმილით დაამატა. საბედისწერო გამოდგა ეს მორიგეობა; ყა-



ჩალთა ბანდას, რომლებმაც მრავალი ოჯახი გააუბედურა, მხოლოდ ცამეტი წლის შემდეგ „ელირსა“ მართლმსაჯულების წინაშე წარსდგომა.

შვიდი წელი იყო ავთო ოჯახთან ერთად, მხოლოდ შვიდი წელი. დატოვა მან მეუღლე, ქალ-ვაჟი და მრავალი ცრემლიანი მოგონება. დღესაც, ოცდაერთი წლის შემდეგ იმ ტრაგიკული დღიდან მეგობრები ერთად მივლენ ავთო კირვალიძის საფლავზე და ერთად მოიგონებენ ამ ღიმილიან, ყველასთვის მარად ჭაბუკად დარჩენილ ვაჟკაცს.

მის მიერ განვლილი ცხოვრებისეული გზა, რთული, მაგრამ საინტერესო, აღსავსე სასიამოვნო მოულოდნელობებით თუ დაძაბული მუშაობით წარუშლელია ავთოს ოჯახის წევრთა, თანამშრომელთა და ახლობელთა მეხსიერებაში. ამხანაგები ეტყოდნენ ხოლმე — შენ სხვისთვის ხარ გაჩენილიო. ეს ერთი შეხედვით ხუმრობა მისი ცხოვრების კრედოდ იყო ქცეული. ამხანაგისათვის ტყვიას გადავუდგებიო ამბობდა და ყველას სჯეროდა, სწამდათ მისი. იგი ჩვენთვის ყველასთვის მოლერებულ ტყვიას გადაუდგა და სიმართლისათვის გასწირა თავისი ახალგაზრდული გულისცემა.

ნათელი საქმისთვის დაცემულთ სიკვდილი არ უწერიათ, მათი სახელი ახსოვთ და მარადჟამს ემახსოვრებათ...

**ს. ალავიძე.**
**ზ. ქუთათელაძე.**

## МЫ ПОМНИМ НАШИХ ЗЕМЛЯКОВ

**В ДЕНЬ** памяти мы вспоминаем наших сотрудников, погибших во время исполнения служебных обязанностей...

Лейтенант Сергей Тамазашвили, окончив Тбилисский факультет Московской высшей школы милиции МВД СССР, по направлению пришел работать в свой родной Болнисский район участковым инспектором. Закрепили за ним Мадневульский горнообогатительный комбинат в селе Казрети. Всего два месяца службы в органах. Он за этот короткий срок успел завоевать авторитет и уважение коллектива. Молодой офицер, полный сил и энергии, всегда был готов выполнить свой служебный долг.

Так было в тот ненастный октябрьский, пасмурный день 1988 года. В РОВД поступило сведение об ограблении автомашины. По оперативным сведениям было установлено, что грабители из Дманиси. Несмотря на усталость и поздний час, в 4 часа утра оперативная группа вместе с Сергеем выехала в сторону Дманиси. Дорога была мокрая, сказалась и усталость—он на миг вздремнул за рулем, и машина, перевернувшись, оказалась в обрыве. Никто не пострадал, только лишь жизнь молодого офицера прервалась в этот день...

Похоронен Тамазашвили в своей родной деревне Цители-Сопели. По ходатайству РОВД Маднеульский горнообогатительный комбинат выделил семье пострадавшего 2-комнатную квартиру в селе Казрети. Товарищи, руководство районного отдела в день памяти ежегодно посещают могилу Тамазашвили, его семью. В этом году мы решили перечислить заработок одного дня семье погибшего.

В день памяти мы посещаем семьи и других наших погибших земляков, которые ушли из жизни при исполнении служебных обязанностей: это лейтенант милиции инспектор дорнадзора Абели Мушкудиани, участковый инспектор старший лейтенант милиции Михаил Чаподзе.

Мы склоняем головы перед их могилами в этот день скорби.

**Т. УРУМАШВИЛИ,**
**капитан милиции, начальник ОПС Болнисского РОВД**

## ისინი სამსახურებრივ მოვალეობას ასრულებდნენ

**როგორ ფიქრობთ,** რამდენი ხანძარი ხდება პლანეტაზე ყოველ საათში? ექვსასამდე, ხოლო წლის მანძილზე კი — ხუთი მილიონი.

ყოვლისშემძლე „დრაკონი“ არავის არ ინდობს, ანადგურებს მატერიალურ ფასეულობებს და ხშირ შემთხვევაში ცეცხლის მსხვერპლნი ათასობით ადამიანები ხდებიან. მაგრამ არსებობს ძალა, რომელსაც შეუძლია რაინდულად შეებრძოლოს ხანძარს — ეს ძალა ადამიანია, ამ ადამიანებს კი ხალხი მეხანძრეებს ეძახის, რომელთა სამსახურის ყოველი წუთი დაძაბული მოლოდინია. ისინი ებრძვიან დიდ თუ პატარა ხანძარს, ებრძვიან დარში თუ ავდარში და რაც მთავარია, ებრძვიან თავგანწირულად, რადგან ხანძარი მათთვის ბრძოლაა და მათაც კარგად იციან, რომ შეიძლება ამ ბრძოლამ მსხვერპლიც მოითხოვოს. სწორედ ეს იციან მეხანძრეებმა, ამიტომაც ირჩევენ მეხანძრის მამაცურ და ამასთან ერთად, სიფათიან გზას.

მეხანძრის ბრძოლა მხოლოდ შეტევაა, ხანძრის დროს ისინი თავდაცვაზე ნაკლებად ფიქრობენ, ამიტომაა მათი ცხოვრება გმირული და სწორედ ამ გმირობამ იმსხვერპლა ქ. ქუთაისის სახანძრო რაზმის ოპერატიული მორიგე გრიგორ სარდიონის ძე სურცაძე.

— მორიგეობა ის იყო ჩააბარა, როდესაც განგაშის ხმა შემოესმა. სახლში მისავალმა სხვისი ოჯახის გასაჭირი გაიზიარა და გაჰყვა ხანძარზე მიმავალ შემადგენლობას. მისვლისთანავე სამმუხლიანი კიბიდან დაიწყო საყოფაცხოვრებო სახლის სხვენში მძვინვარე ხანძრის ქრობა, მაგრამ სტიქიამ სძლია მეხანძრის მამაცობას და სხვენი თავზე ჩამოაქცია. საბედისწერო აღმოჩნდა მისთვის ეს შემთხვევა.

— ბონდო მიხეილის ძე შანიძე — ბევრის მთქმელია ეს გვარი, როგორც რესპუბლიკის, ასევე მთელი კავშირის მეხანძრეებისათვის. ქ. თბილისის № 1 სახანძრო ნაწილში მუშაობდა ახალგაზრდა ოფიცერი შ/ს უმცროსი ლეიტენანტი, ყარაულის უფროსის თანამდებობაზე. მისი ყარაული ყოველთვის გამოირჩეოდა საბრძოლო მომზადების მაღალი დონით. იმ საბედისწერო დღეს ბ. შანიძეს და ათმეთაურ გ. გუზიტაშვილს მორიგი გასვლა მოუხდათ ხანძარზე. შეტყობინებაში მითითებული იყო, რომ ხანძარი ადამიანის სიცოცხლეს ემუქრებოდა. ასეთი შეტყობინების დროს, წამის დაკარგვასაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, მეთაური ასეც მოიქცა; საგანგაშო საყვირით სახანძრო მანქანა პიკის საათებში მოიწევდა ხანძრის ადგილისაკენ, მაგრამ ადამიანის სიცოცხლის გადარჩენისათვის მიმავლებმა ბ. შანიძემ და გ. გუზიტაშვილმა საკუთარი სიცოცხლე ჩააგდეს საფრთხეში. ბედისწერამ, საბრძოლო ფრონტამდე არ მიიყვანა ისინი. ადამიანის სიცოცხლის გადარჩენისათვის მოჩქარეებს, თვითონ შეაგვიანდათ სამუდამოდ.

რესპუბლიკის სახანძრო დაცვის მუშაკების ფრონტი ზოგჯერ სამართალდამცავი ორგანოების მიერ დანაშაულის აღკვეთის მიზნით, დასახულ ღონისძიებებში აქტიური მონაწილეობაცაა. რაზედაც მიუთითებს ქ. ახმეტის პროფესიონალური სახანძრო ნაწილის ყოფილი უფროსის ამბროსი დავითის ძე ახვლედიანის სიმამაცე, ორგანიზებულ ბანდიტთა შეპყრობის ოპერაციაში. დამნაშავის ხელით გასროლილმა ტყვიამ იმსხვერპლა მეხანძრე.

სამარადისო დიდებას იმსახურებენ სამშობლოსა და ხალხის სამსახურში თავდადებული მეხანძრეები: ქ. ქუთაისის № 1 სახანძრო ნაწილის ყოფილი მებრძოლი შალვა მიხეილის ძე ქორიძე, ამავე ქალაქის № 4 ნაწილის ყოფილი უფროსი ოთარ პარმენის ძე თორაძე, ქ. აბაშის პროფესიონალური სახანძრო ნაწილის მძღოლი მუხრან ნოეს ძე ჟვანია, თელავის პროფესიული სახანძრო ნაწილის ინსტრუქტორი ოთარ ვისარგის ძე მარუქაშვილი და სხვები, რომლებმაც თავიანთი სიცოცხლის ფასად იხსნეს სხვათა სიცოცხლე და ამით სამარადისო ძეგლი დაიდგეს...

**ო. ნანიკაშვილი,**
სახანძრო დაცვის სამმართველოს სამსახურებრივი მომზადების განყოფილების უფროსი, შ/ს პოდპოლკოვნიკი.

**ა. მალაიანცი**

## „წინ გზა მიდევს ისე შორი...“

**ჯერაც** არ გავლილა შენი წასვლით მიყენებული დიდი ტკივილი, მონასტრების უფსკრულად რომ აღმართულა შენსა და შენს ოჯახს, მეგობრებს შორის. ჯერაც არ გამშრალა ცრემლი მათ თვალებზე, ვისაც ყველაზე მეტად დააკლდი და ვისაც ყველაზე მეტად ეიმედებოდა შენი.

მაგიდაზე გაცრეცილ ყდიანი ალბომი დევს, რომელიც სავსეა უკვე ფერგადასული სურათებით, შენი ცხოვრების ყველაზე საინტერესო, ტკბილად მოსაგონარი მომენტები რომ აუსახავთ, იმ ცხოვრებისა, რომელიც ობლობით დაიწყო და ადამიანთა სიყვარულით, მეგობართა სიმრავლით და ტკბილი ოჯახით დამთავრდა.

მის ხასიათში იყო რაღაც განსაკუთრებული, არაჩვეულებრივი, უაღრესად ადამიანური, ნებისმიერი ასაკისა და რანგის პიროვნებას ერთნაირად რომ ნუსხავდა, და რისთვისაც მას დიდი სიყვარული, ნდობა და რწმენა ახლდა ყველგან და ყველასგან.

გაგა არაბულს 12 აპრილს 58 წელი შეუსრულდებოდა, მაგრამ განა ასე დიდია ეს 58 წელიწადი, რომ დაუნანებლად, ცრემლისა და ტკივილის გარეშე გაიმეტო ადამიანი, რომელმაც მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება სიმართლის, კანონიერების სამსახურს შეალია. 34 წელი იმსახურა მან შინაგან საქმეთა სისტემაში და მთელი ეს წლები ადამიანების კეთილდღეობას, სიკეთეს, მათდამი სიყვარულს მოანდომა მხოლოდ. იყო დიდი წინააღმდეგობა, სიკვდილთან პირისპირ შეყრა, განსაცდელი, მაგრამ იყო დიდი პასუხისმგებლობა პროფესიისადმი, მოვალეობისადმი.

განსაკუთრებული იყო ის, როგორც მეგობარი. სასტიკად ეჯავრებოდა ტყუილი, ზურგს უკან მოლაპარაკე ხალხი, — ფარისევლო-



ბა რა ვაჟკაცის საქმეა, ადამიანი მისი სიტყვითა და საქმით ფასდებაო — იცოდა ხოლმე თქმა. ბევრი გზასაცდენილი დაბრუნებია ცხოვრებას მისი თანადგომითა და მხარდაჭერით. მთიდან ჩამოსული არწივივითა ხარო — ეტყოდნენ ხოლმე გაგას მისი ხასიათით გულაგზნებული მეგობრები. და მაინც მისი მოღვაწეობის, ადამიანობის საუკეთესო წლები დაუვიწყარ მოგონებებად შემორჩა ქუთაისს, სადაც შს სამმართველოში 12 წელიწადი იმუშავა გაგა არაბულმა გამომძიებლად. გულისხმიერი, ყოველი გაჭირვებულის ქომაგი, პირდაპირი, საქმიანი, ალალმართალი, ასეთად შემორჩათ უკვე ხანდაზმულ ქუთათურთა მეხსიერებას გაგა, რომელზედაც დღემდე დადის ლექსად ამღერებული სიტყვები, რომელიც დღემდე კაცური კაცის ნიმუშად მოჰყავთ ქუთაისში.

არანაკლებ უყვარდათ ის მის თბილისელ მეგობრებს, სადაც გაატარა მან დარჩენილი სიცოცხლის წლები. ამ სიყვარულმა აატირა მისი გარდაცვალების დღეს მთელი თბილისი და ამ სიყვარულით შიაცილეს გაგა უკანასკნელ სავანემდე.

ბევრის გაკეთება მოასწრო, ძალიან ბევრის, მაგრამ არასდროს უფიქრია ასე ნაადრევად განშორებაზე, მაგრამ ესეც ალბათ განგების ნება იყო, რასაც ადამიანი ვერ გადაუვა.

წინ გზა არის ისევ შორი, რომელიც გაგას დარჩენილმა შთამომავლობამ უნდა განაგრძოს სახელოვნად, მით უფრო, რომ არაბულების ოჯახში იზრდება პატარა გაგა არაბული, რომელიც უკვე ოცნებობს იურისტობაზე და რომელიც დღემდე ეკითხება ბებოს — როდის დაბრუნდება ბაბუ?!..

**მ. მოსიძე.**

СПОРТ ••••• სპორტი ••••• СПОРТ ••••• სპორტი

# Физической подготовке больше внимания



**В системе органов внутренних дел приказом МВД СССР определены меры по совершенствованию физической подготовки личного состава, основная направленность которых неразрывно взаимосвязана с формированием сотрудника правоохранительных органов нового типа.**

**О том, как выполняются требования, определенные в приказах МВД СССР и МВД Грузинской ССР по совершенствованию физической подготовки личного состава в системе ОВД республики, мы попросили рассказать начальника отдела физической и оргмассовой работы Грузсовета «Динамо», старшего лейтенанта внутренней службы И. Барского.**

**СИСТЕМА** физической подготовки построена таким образом, что весь личный состав от рядового милиционера до офицера, исходя из специфики рода деятельности, в достаточной степени смог бы овладеть приемами рукопашного боя, самозащиты без оружия, навыками ведения меткого огня из табельного оружия, приобрести достаточную силу, ловкость и выносливость, т. е. совокупность физических и морально-волевых качеств, необходимых для выполнения оперативно-служебных задач.

Установленные приказом двухразовые недельные занятия, несомненно, способствуют приобретению всего этого. Однако, как усматривается специалистами, довольствоваться таковым минимумом было бы неверно. К тому же большинство руководителей служб и начальников отделов в ГОРОВД игнорируют этот приказ, очень часто прекрасные спортзалы и беговые дорожки на нашем центральном стадионе пустуют.

Вот поэтому желательно кроме обязательных двухразовых посещений еще и поддерживать спортивный тонус каждому сотруднику дополнительными занятиями, используя так называемые свободные дни для кроссовых пробежек, спортивных игр, турпоходов выходного дня.

При правильной организации режима работы органа или подразделения внутренних дел все это вполне реально и практически осуществимо. Для наглядности можно привести несколько примеров: подлинную заботу проявляет в организации дополнительного спортивного досуга начальник УИ-123/П УИД МВД ГССР подполковник внутренней службы М. Майсурадзе. По его личной инициативе в подразделении оборудованы спортивные залы, где сотрудники занимаются атлетизмом, настольным теннисом и борьбой самбо. Руководит практически секцией по самозащите без оружия сам М. Майсурадзе.

Начальник Грузинского УВДТ полковник Т. Эпиташвили большое внимание уделяет вопросам, связанным с физподготовкой, и весь личный состав с руководителем еженедельно посещают занятия по физподготовке. Регулярно проводятся занятия по физподготовке и в подразделении по охране Тбилводопровода (начальник—подполковник милиции О. Сухиашвили).

Пользуясь случаем, в порядке информации хочу поделиться своими впечатлениями о недавней поездке в составе бригады МВД СССР в Белоруссию. Физподготовке и массовому спорту там уделяется, несомненно, самое серьезное внимание.

Ознакомившись с работой районных отделов внутренних дел, можно уверенно констатировать, что физическая культура и спорт среди сотрудников МВД Белоруссии стали составной частью профессиональной подготовки. Этому способствовало еще и то, что большая часть личного состава не ограничивается исполнением вышеуказанного приказа министра внутренних дел СССР, а с успехом дополняет его совершенствованием физкультурно-массовой работы, спортивных секций прикладной направленности.

Видимо, и нашим подразделениям необходимо развернуть физкультурно-массовую работу.

**Записал А. МАЛАЯНЦ.**



# პერუდან — საქართველომდე

**როგორც** უკვე ვიუწყებოდით 10-11 მარტს პერუს დედაქალაქ ლიმაში ჩატარდა მსოფლიო ჩემპიონატი ტრადიციულ კარატეში. ეს თარიღი ოქროს ასოებით შევა როგორც ქართული, ასევე მსოფლიო კარატეს ისტორიაში, რამეთუ საქართველო ამ ასპარეზობაზე დამოუკიდებელ გუნდად იყო წარმოდგენილი. ეს საბჭოთა სპორტის ისტორიაში უპრეცედენტო შემთხვევა იყო, როცა სსრკ-ის შემადგენლობიდან რომელიმე რესპუბლიკის გუნდს საერთაშორისო შეჯიბრებაში დამოუკიდებელი გუნდი წარმოედგინოს.

ეს ყველაფერი მოხდა იმ ქვეყანაში, სადაც საქართველოზე ფაქტიურად არაფერი სმენოდათ, როგორც გაზეთი „ნატვრისთვალი" იუწყებოდა წამყვანი გაზეთების პოლიტიკური მიმომხილველებიც კი კარგა ხანს ეძებდნენ რუკაზე საქართველოსა თუ თბილისს, ხოლო რიგითი ლიმელი ვთქვათ, ასეთი ფრაზით „გაგიხარებს" გულს: საქართველო? ხეორხია? ვიცი, როგორ არა! გვატემალაშია!"

პერუში საქართველოს დელეგაციის გამგზავრება ბოლო მომენტამდე არ იყო გადაწყვეტილი. საქართველოს კარატეს ფედერაცია, სულ რამდენიმე თვის შექმნილი იყო, ასეთ დიდ ასპარეზობაში მონაწილეობის მიღებაზე კი არც უოცნებიათ.

როდესაც ფედერაციამ მოწვევა მიიღო, ჩემპიონატის გახსნამდე სამიოდე კვირაღა რჩებოდა. მსოფლიო ჩემპიონატისათვის მზადებას კი რამოდენიმე თვის ხანგრძლივი და დაძაბული შრომა უნდა.

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის, საქართველოს სპორტსახკომისა და სხვა ორგანიზაციების თუ კერძო პირების აქტიური მხარდაჭერით მრავალი პრობლემა გადაიჭრა. მგზავრობის ვალუტით უზრუნველყოფა მთლიანად სპორტსახკომმა იკისრა, გამოჩდნენ სპონსორებიც, რომელთაგან ერთ-ერთი მთავარი იყო კომერციული ფირმა ვესტა, რომელმაც დელეგაციის მგზავრობისთვის 20 ათასი მანეთი გაიღო.

საქართველოს გუნდს „ადიდასის" ფირმის სპორტული ფორმები შეუკერა და უსასყიდლოდ გადასცა სპორტ ნაწარმის ექსპერიმენტულმა ფაბრიკამ, რომლის დირექტორია წარსულში სახელგანთქმული სპორტსმენი რ. რურუა.

ლიმაში საქართველოს დელეგაცია შემდეგი შემადგენლობით გაემგზავრა; საქართველოს ტრადიციული კარატეს ფედერაციის პრეზიდენტი ზურაბ მერაბიშვილი, გუნდის მწვრთნელი ზურაბ ლეჟავა, საბჭოთა კავშირის ექს ჩემპიონები გია ბაკურაძე, თემურ ცქიტიშვილი და კახა ბასილია, ავთანდილ რაზმაძე, კახა ქუთათელაძე და სპარტაკ გოცირიძე; გუნდს ახლდა საქართველოს ოლიმპიური კომიტეტის ვიცე-პრეზიდენტი პაატა ხაცელიშვილი და საგანგებოდ ლიმაში ჩასული საქართველოს სპორტსახკომის თავმჯდომარე ნუგზარ ენდელაძე.

საქართველოს გუნდიდან ტატამზე პირველი გამოვიდა ყველაზე ახალგაზრდა წარმომადგენელი ავთანდილ რაზმაძე, რომელმაც კანადელ, საკმაოდ გამოცდილ მალკოლმ ფიშერს მხოლოდ ერთი ქულით დაუთმო; მეორე შეხვედრაც, რომელშიც გია ბაკურაძე და კანადელი ჟერარ ლუიზიერი შეხვდნენ, კანადელის გამარჯვებით დამთავრდა. მესამე შეხვედრას არ შეეძლო რაიმე გადამწყვეტი ზეგავლენა მოეხდინა საერთო შედეგზე, მაგრამ კახა ქუთათელაძემ კანადელ მიშელ ლინდრისთან უკომპრომისო ბრძოლაში ფრეს მიაღწია. რაც შეეხება პირად ასპარეზობას, კახა ქუთათელაძე არგენტინელ სპორტსმენს შეხვდა და ერთი ქულით მოუგო მას. ეს საქართველოს დამოუკიდებელი გუნდის წევრის პირველი გამარჯვებაა მსოფლიოს ჩემპიონატში. საერთოდ უნდა ითქვას, რომ ჩვენი გუნდიდან კახა საუკეთესო იყო, მან სამი ჩატარებული შეხვედრიდან ერთი მოიგო, ერთი ფრედ დაამთავრა და მხოლოდ ერთი წააგო.

სულ რამდენიმე კვირა გვაშორებდა იმ დიდი სიხარულისაგან, რაც მეხუთე მსოფლიო ჩემპიონატმა და იქ გამგზავრებულმა ჩვენმა გუნდმა მოგვანიჭა, რომ კიდევ ერთი საისტორიო ფურცელი გადაიფურცლა ქართული კარატეს ისტორიაში.

2-3 აპრილს ვერის ბაღში მდებარე მოზარდთა და ბავშვთა საკალათბურთო სასახლეში ჩატარდა საქართველოს პირველი ჩემპიონატი, რომელშიც მონაწილეობას იღებდა თბილისის, ქუთაისის, ბათუმის, გალის, სოხუმის, გორის, თელავის და ზესტაფონის 100-მდე სპორტსმენი. ალბათ მონაწილეთა რიცხვი გაცილებით მეტი იქნებოდა შეჯიბრების ორგანიზატორებს თბილისელთათვის შეზღუდვა რომ არ დაეწესებინათ, შეჯიბრში გამოვიდნენ მხოლოდ ქალაქის პირველობის გამარჯვებულნი და საქართველოს ნაკრების წევრები, რომლებიც ჩვენს ღირსებას პერუში იცავდნენ.

საქართველოს 1990 წლის ჩემპიონები გახდნენ: თენგიზ სოფრომაძე (60 კგ. ქუთაისი), თემურ ცქიტიშვილი (65 კგ. თბილისი), ოთარ გელაძე (70 კგ. თბილისი), რამაზ გულდედავა (75 კგ. სოხუმი), გია ბაკურაძე (80 კგ. თბილისი), შალხაზ ხვედელიანი (85 კგ. თბილისი), კახა ქუთათელაძე (85 კგ.-ს ზევით, თბილისი), სპარტაკ გოცირიძე (აბსოლუტური, თბილისი). საქართველოს ნაკრები გუნდის წევრთაგან ოთხი საქართველოს ჩემპიონი გახდა.

ეს ალბათ სხვა სპორტსმენებისათვის მისაბაძად და სამაგალითოდ უნდა იქცეს. ამის საშუალება და გასაქანი კი ყველას გააჩნია.

**ს. ალავიძე.**

# მეგობრის ხსოვნას



**გარდაიცვალა** დიდი სამამულო ომის მონაწილე, შინაგანი სამსახურის გადამდგარი პოდპოლკოვნიკი, სკკპ წევრი 1946 წლიდან გიორგი თამაზის ძე ქარსიძე.

იგი დაიბადა 1917 წელს, გორის რაიონის სოფ. ზერტში.

გ. ქარსიძემ 30 წელი შესწირა ჩეკისტის რთულ პროფესიას. სხვადასხვა დროს მუშაობდა სახელმწიფო უშიშროებისა და შინაგან საქმეთა ორგანოებში პასუხსაგებ თანამდებობებზე, კერძოდ ყაზახეთში, აჭარის ასსრ და საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროში, ქუთაისის შინაგან საქმეთა სამმართველოში, ლანჩხუთის და გორის რაიონების შინაგან საქმეთა განყოფილებებში, იყო ხაშურის რაიონის შინაგან საქმეთა განყოფილების უფროსი და რაიონული საბჭოს დეპუტატი და სხვა, სადაც კონკრეტული წვლილი შეიტანა ბანდიტიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში, დამნაშავეობის აღკვეთის და ბოროტმოქმედთა დაკავების მიზნით ჩატარებულ მრავალ ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებში. საქმიანობის ყველა უბანზე გ. ქარსიძემ თავი გამოიჩინა როგორც უშიშარმა და პრინციპულმა ჩეკისტმა.

მთავრობამ ღირსეულად შეაფასა გ. ქარსიძის დამსახურება სამშობლოს წინაშე. იგი მრავალჯერ იყო დაჯილდოვებული მედლებით, ასევე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

გ. ქარსიძის, როგორც ღვაწლმოსილი ჩეკისტის, ომისა და შრომის ვეტერანის, გულისხმიერი ადამიანის ხსოვნა დიდხანს დარჩება მისი თანამოსაქმეებისა და ახლობლების გულებში.

## БУДНИ УГОЛОВНОГО РОЗЫСКА

# СДЕЛКА НЕ СОСТОЯЛАСЬ

**ЗАМЕТНО** возросший в последнее время спрос на компьютеры отечественной промышленностью все еще, к сожалению, полностью не удовлетворяется. А спрос, как известно, рождает и предложение, причем, некоторые при этом пользуются далеко не праведными способами. Решил «погреть руки» на дефиците и двадцатичетырехлетний житель города Тбилиси Михаил А.

Числился он работником одного из кооперативов, однако зарабатывать деньги честным трудом, видно, счел для себя слишком утомительным. Может подействовал на него неблагополучный климат в семье — отец и двое его братьев — ранее судимые. А может мысль о возможности быстрого обогащения путем кражи и последующей перепродажи компьютеров возникла у него во время посещения несколько месяцев назад места заключения, где отбывает наказание его брат, бесед с осужденными.

Как бы то ни было, но 18 января он, выставив раму на первом этаже расположенного по ул. Камо Машиностроительного техникума, поднялся на второй этаж и из одной из учебных аудиторий совершил кражу компьютера американского производства стоимостью 75 тысяч рублей.

К раскрытию данного преступления подключилась оперативная группа сотрудников Первомайского РОВД столицы республики, возглавляемая начальником отдела полковником милиции С. Санадзе и его заместителем по оперативной работе майором милиции М. Гергашвили. Благодаря умелому изучению места и обстоятельств преступления, умелому взаимодействию с сотрудниками других подразделений внутренних дел, в частности, с начальником Цхнетского отделения Орджоникидзевского РОВД г. Тбилиси капитаном милиции Л. Болквадзе и оперуполномоченным УР капитаном милиции Г. Синджикашвили, предоставившими важную для раскрытия дела информацию, личность преступника была вскоре установлена. Выяснилось и то, что Михаил А. повез украденный компьютер в Москву с целью перепродажи. Однако осуществить задуманную сделку ему не удалось.

Для его задержания в Москву были командированы начальник ОУР Первомайского РОВД капитан милиции Ш. Мцариашвили и старший оперуполномоченный УР майор милиции Т. Мгебришвили. На месте им большую помощь оказали сотрудники 10-го отделения Фрунзенского ОВД, возглавляемые заместителем начальника отдела майором милиции М. Пименовым, перекрывшие все выходы из Курского вокзала, куда, по имеющимся данным, и должен был прибыть злоумышленник со своим грузом. Здесь же он сразу по прибытии поезда и был задержан с поличным. А вскоре был задержан и его сообщник, несовершеннолетний Важа М.

После того как все обстоятельства дела будут полностью установлены, любители легкой наживы предстанут перед судом и понесут заслуженное наказание.

**А. ЛЬВОВ.**

## ЗАРУБЕЖНЫЙ КАЛЕЙДОСКОП

### КАК УБЕРЕЧЬСЯ ОТ ФАЛЬШИВОК?

**ПРОИЗВОДИТЬ все валютные операции только в официальных банках страны призвал перуанцев министр экономики и финансов Перу Сесар Васкес. Это единственная возможность уберечься от фальшивых долларовых банкнот, подчеркнул он. В последнее время международная мафия фальшивомонетчиков буквально заполонила поддельными долларами «черный», или, как его здесь принято называть, «параллельный» рынок валюты в Лиме и ряде других перуанских городов.**

ინდექსი 66689

НАШ АДРЕС: ТБИЛИСИ, 380064, УЛ. ГОГОЛЯ, 23, ТЕЛЕФОНЫ:
ჩვენი მისამართია: თბილისი, 380064; გოგოლის ქ. № 23. ტელეფონები:
95-66-72; 99-1-41-24.

რედაქტორი
ა. კობალაძე

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, იბეჭდება, ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში, ხოშარაულის 29. უე 09392